

## შეხვედრა ქ. თბილისის 62-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან

8 დეკემბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე გაიმართა შეხვედრა ქ. თბილისის 62-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა (პედაგოგი - მაკა ჩირიკაშვილი) და ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შორის. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მომავალი თაობისთვის მეტალურგიის დარგის გაცნობა.

ფაკულტეტის დეკანმა ნ. წერეთელმა, ასევე, პროფესორ-მასწავლებლებმა ზ. ლომსაძემ, ო. მიქაძემ და აკად. დოქტორმა ი. აბდუშელიშვილმა, ისაუბრეს საქართველოში მეტალურგიის წარმოშობის ისტორიაზე და მოსწავლეებს გააცნეს მეტალურგიის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის აღმშენებლობის საკითხში. მოზარდებს საშუალება მიეცათ, ვირტუალური სახით, ენახათ მეტალურგიული წარმოების მთლიანი ციკლი და პრაქტიკულად დასწრებოდნენ თხევადი თუჯის მიღებისა და ჩამოსხმის პროცესს.







